ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის წერილის (N.....) პასუხად, წარმოგიდგენთ ჩემი, როგორც ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მიერ, 2019 წლის განმავლობაში (ოქტომბრის თვის ჩათვლით) გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

პატივისცემით,

ბექა დავითულიანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე.

ფრაქციული მუშაობა

მე-6 მოწვევის საკრებულში ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ 31 წევრისგან შედგება. იგი საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით შეიქმნა. ჩვენი საქმიანობა ეფუძნება საჯაროობის, დამოუკიდებლობისა და თანასწორობის პრინციპებს.

ფრაქციის წესდების გათვალისწინებით, ფრაქციის სხდომა იკრიბება თვეში მინიმუმ ერთხელ. სხდომაზე განიხილება დედაქალაქში მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები, რის შემდეგაც მზადდება პოზიცია და რეკომენდაციები, რომელიც შემდგომში საკრებულოს სხდომაზე, ერთიან, შეჯერებულ პოზიციაში გამოიხატება. საანგარიშო წლის პერიოდში (ოქტომბრის თვის ჩათვლით) ფრაქციას ჩატარებული აქვს **22** სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა **25** საკითხი.

2018 ნოემბერი - 2019 ოქტომბერი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ სხდომებზე განხილული საკითხები თარიღების მიხედვით

თარიღი	საკითხი
16.11.2018	1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“.
4.12.2018	1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ“.
5.12. 2018	1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ“.

6.12.2018	1. „ქ. თბილისის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში საკრებულოს უმრავლესობის შენიშვნებისა და რეკომენდაციების განხილვა.“
24.12.2018	1. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 დეკემბრის სხდომის პროცედურების შესახებ“.
24.01.2019	1. „თბილისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25.01.2019 სხდომის დღის წესრიგის საკითხების განხილვის შესახებ“
5.02.2019	1.„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის შესახებ“
21.02.2019	1.„ფრაქცია ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო-ს სამომავლო გეგმების შესახებ“
28.02.2019	1. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და სამშენებლო რეგულაციების შესახებ“.
14.03.2019	1.„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის შესახებ“.
28.03.2019	1.„ქ.თბილისის მასშტაბით მუნიციპალური ქონების მართვის მიმართულებით არსებული პრობლემების შესახებ“
16.04.2019	1.„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ -დან ორი წევრის გასვლის შესახებ“
23.04.2019	1.„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე თარაშ შურღაიას წარდგენასთან დაკავშირებით“.
2.05.2019	1.„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე მიხეილ ამაშუკელის წარდგენასთან დაკავშირებით“.
23.05.2019	1.„ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების სურსათით მომარაგებასის შესახებ“
24.06.2019	1.„მიმდინარე მოვლენების შესახებ“

25.07.2019	1.„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიმდინარე მოვლენების შესახებ“
15.08.2019	1.„ ქ. თბილისის საკრებულოში სხვადასხვა თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატურების წარუდგენის შესახებ“
27.09.2019	1.„ქ. თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მდივნის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატურის წარდგენის შესახებ“ 2. „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფორმირების შესახებ''
03.10.2019	1. „ქ. თბილისის საკრებულოში თბილისის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განსახილველად ფრაქციის “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო” მიერ განსახორციელებელი მოსამზადებელი სამუშაოების დაგეგმვა.“
25.10.2019	1.“ ქ. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებისა და მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული საქმიანობის მოქალაქეებისათვის ინფორმაციის მიწოდების შესახებ.“ 2.“ ინიციატივა - მუნიციპალური ავტობუსის კონკრეტული მარშრუტის ცვლილების შესახებ.“
31.10.2019	1. „ქ. თბილისის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.“

საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა

2018 წლის 1 ნოებრიდან 2019 წლის ოქტომბრის თვის ჩათვლით, დავესწარი საკრებულოს 18 სხდომას. საანგარიშო პერიოდში, სულ მოწვეულ იქნა 18 სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა 98 დადგენილება და 434 განკარგულება.

კანონმდებლობის შესაბამისად, გახლავართ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის და ასევე, კულტურისა და განათლების კომისიის წევრი. აქტიურად ვარ ჩართული მათ მუშაობასა და საქმიანობაში.

განათლებისა და კულტურის კომისია

- საანგარიშო პერიოდში დავესწარი თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის 10 სხდომას, სადაც განვიხილეთ 13 საკითხი, მათ შორის:

1. **20 ნოემბერი, 2018 წელი**

- "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (#12-0318319154-03; 15.11.2018).

2. **25 დეკემბერი, 2018 წელი**

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის 2018 წლის 25 დეკემბრის სხდომის თავმჯდომარის არჩევა;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (#12-0318355197-03; 21.12.2018);
- "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (#12-0318344134-03; 10.12.2018).

3. **25 იანვარი, 2019 წელი**
   - "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი: № 12-031902271-03; 22.01.2019).

4. **12 თებერვალი, 2019 წელი**
   - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის“ განხილვა (# 12-031903982-03; 08.02.2019).

5. **21 თებერვალი, 2019 წელი**
   1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ოქტომბრის N25-101 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის ინიცირება.
   2. ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს წლიური ანგარიშის განხილვა;

6. **1 მარტი, 2018 წელი**
   - "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0319058156-03; 27.02.2019).

7. 11 აპრილი, 2019 წელი

- სსიპ ქალაქ თბილისის №218 საჯარო სკოლისთვის რუსტამ ისაევის სახელის მინიჭების თაობაზე.

8. 19 აპრილი, 2019 წელი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ (N12-031905990-03);
2. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის“ (ს/კ 202058520) ლიკვიდაციის საკითხი“ (N12-031910897-03).

9. 24 მაისი, 2019 წელი

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (N12-031914291-03; 22.05.2019).

10. 25 ივნისი, 2019 წელი

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი ებანოიძის დანიშვნის შესახებ თანხმობის მიცემის საკითხი (12-0319171114-03; 20.06.2019).

11. 23 ივლისი, 2019 წელი

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031920332-03; 22.07.2019).

12. 7 აგვისტო, 2019 წელი

- ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ 2019 წელს შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის განხილვა

13. 13 სექტემბერი, 2019 წელი

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე კახა სამხარაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ (12-0319247124-03; 04.09.2019).

14. 10 ოქტომბერი, 2019 წელი

- თბილისის მუზეუმების პოტენციალი დედქალაქის ტურიზმის განვითარებისთვის

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია

- საანგარიშო პერიოდში ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ ჩაატარა 14 კომისიის სხდომა. აქედან დავესწარი 13 სხდომას.

კომისიის სხდომებზე განხილულია დღის წესრიგით გათვალისწინებული 153 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილი იქნა ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20-105 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 15 ცვლილება და ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმარების თვალსაზრისით 1 ზონალურ ცვლილებას მიეცა უარყოფითი შეფასება. ასევე საანგარიშო პერიოდში დამტკიცდა ახალი გენერალური გეგმა, სადაც ასევე განხორციელდა 101 ზონალური ცვლილება და დამატებითი შესწავლის მიზნით გადაიდო 8 ზონალური ცვლილება.

კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 43 პროექტი, აქედან დამატებითი შესწავლის მიზნით გადაიდო 1 პროექტი.

მივლინებები

- 2018 წლის 4 ნოემბრიდან 8 ნოემბრის ჩათვლით, ვიმყოფებოდი ევროპის ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის 35-ე სესიაზე, რომელიც გაიმართა ქალაქ სტრასბურგში. სესიის ფარგლებში გაიმართა დებატები ევროპის ქცევის კოდექსის განახლებაზე ყველა იმ ადამიანისათვის, ვინც ჩართულია ადგილობრივ და რეგიონალურ მმართველობაში.

- 2019 წლის 6 თებერვლიდან 8 თებერვლის ჩათვლით, თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარესთან, თამარ ტალიაშვილთან ერთად, ვიმყოფებოდი სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში.

- 2019 წლის 31 მარტიდან 5 აპრილის ჩათვლით, მივლინებით ვიმყოფებოდი ქალაქ სტრასბურგში, სადაც მონაწილეობა მივიღე ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის 36-ე სესიაში. დელეგაციის წევრებმა მონაწილეობა მივიღეთ ევროპის საბჭოს ბიუროს შეხვედრებსა და კომიტეტების სხდომებში, რომლებზეც განვიხილეთ ადგილობრივ და რეგიონალურ დონეებზე ღია მმართველობისა და ინტერესთა კონფლიქტების, არჩეულ წარმომადგენელთა ინტეგრირებისა და საჯარო ეთიკის ხელშეწყობის საკითხები.

- 2019 წლის 27 და 28 ივნისს, მივლინების ფარგლებში გახლდით ქალაქ ბრიუსელში, სადაც ვმონაწილეობდი ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის და რეგიონალური კომიტეტის, ასევე, კონგრესის ბიუროსა და მისი პალატების 25 წლის იუბილეს აღსანიშნავ ღონისძიებებში.
- 2019 წლის 3 ივლისს დავესწარი ქალაქ ოსლოში გამართულ ევროსაბჭოს კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის სხდომას. გარდა ამისა, კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის წევრებმა ვიმსჯელეთ უნგრეთში, ბოსნია და ჰერცეგოვინაში ჩატარებული მონიტორინგის შედეგებზეც და აზერბაიჯანსა და კვიპროსში წევრი სახელმწიფოების ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიასთან შესაბამისობის საკითხზე. სხდომის დასასრულს, სადაც მონაწილეებმა სამომავლო გეგმები განვიხილეთ, აღინიშნა, რომ თბილისის მერის ათეა-ს (საქართველოს ადგილობრივ თვითმართველობათა ეროვნული ასოციაცია) პრეზიდენტის - კახა კალაძის მოწვევით, 2020 წლის 11 თებერვალს მონიტორინგის კომიტეტის სხდომა გაიმართება თბილისში

- 2019 წლის 23 აგვისტოდან 2019 წლის 27 აგვისტოს ჩათვლით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები სამუშაო ვიზიტით ვიმყოფებოდით ბელარუსიის რესპუბლიკის დედაქალაქ მინსკში. ფესტივალის ,,თბილისობა 2019'' ფარგლებში გამართულ ღონისძიებებზე დასწრებისა და ქ. მინსკის საქალაქო საბჭოსა და აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრების გამართვის მიზნით. მონაწილეობა მივიღეთ ფესტივალის ,,თბილისობა-2019'' ოფიციალურ გახსნაში; დავათვალიერეთ მუნიციპალური მრავალფუნქციური სერვისცენტრები; კულტურულ-სპორტული და გასართობი კომპლექსი; დავესწარით მასპინძლების მიერ ორგანიზებულ ოფიციალურ ღონისძიებებს. ვიზიტის ფარგლებში, დავათვალიერეთ ქ. მინსკის

რამდენიმე ავტოსაწარმო, შევხვდით ჰოლდინგის გენერალურ დირექტორს დიმიტრი პარკოვს, რომელმაც გაგვაცნო საწარმოების მუშაობის სპეციფიკა. უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტი ნაყოფიერი გამოდგა და ჩვენს ბელარუს კოლეგებთან ერთად, ყურადღება გავამახვილეთ მინსკისა და თბილისის ურთიერთობის სამომავლო ინიციატივებსა და ერთობლივ პროექტებზე.

აქტივობები და ღონისძიებები

- ✓ **8 მარტი 2019 წელი**

  თბილისის საკრებულოში, ფრაქცია ,, ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო" ინიციატივით, ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი, მრავალშვილიანი დედების ნამუშევრების გამოფენა გაიმართა. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ქალბატონების მიერ შექმნილი ხელნაკეთი აქსესუარები, სამკაულები და ნამუშევრები

- ✓ **22 აპრილი 2019**

თბილისის საკრებულოს წევრებმა, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოადგილე – ელიზაბეთ რუდთან და საელჩოს წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მივიღეთ კამპანიაში „გაამწვანე ვარკეთილი“. ღონისძიებაში ჩართულები იყვნენ სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები.

8 მაისი 2019

- ✓ თბილისის საკრებულოს, დედაქალაქის მერიისა და საპატრიარქოს ფონდის „გაამწვანე საქართველოს“ ერთობლივი ინიციატივით, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე გამწვანების მასშტაბური აქცია გაიმართა, რომელშიც დედაქალაქის მერთან, კახა კალაძესთან ერთად, მონაწილეობა მივიღეთ საკრებულოს წევრებმა.

  ღონისძიების ფარგლებში, აღნიშნულ ტერიტორიაზე სულ 4000 ძირი ელდარის ფიჭვისა და ნეკერჩხლის ჯიშის ხე დაირგო, რომლის მოვლა-პატრონობასაც თბილისის მერიის შპს „ეკოსერვის ჯგუფი“ უზრუნველყოფს.

- **22-24 მარტი 2019**

 თბილისის საკრებულოს უმრავლესობის წევრები ვიმყოფებოდით საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ ტრენინგზე, კაჭრეთში. ტრენინგი ეხებოდა კრიზისების მენეჯმენტსა და საჯარო კომუნიკაციებს. ორ დღიანი კურსი მოიცავდა თეორიულ და პრაქტიკულ სესიებს მედიასთან ურთიერთობის, კამერასთან მუშაობისა და კრიზისზე რეაგირების საკითხებზე.

---

24 ოქტომბერი 2019

- ✓ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარესთან გიორგი ტყემალაძესთან და საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან გიორგი ახვლედიანთან ერთად, მოსახლეობას წლიური ანგარიში წარვუდგინე. მოქალაქეებს, 2018 წლის ოქტომბრიდან დღემდე გაწეული სამუშაოების შესახებ ვესაუბრა, რომელიც დედაქალაქის საკრებულოსა და მერიის ერთობლივი ჩართულობით ხორციელდება.

ანგარიშის წარდგენისას, იმ სამ ძირითად კომპონენტზე გავამახვილე ყურადღება, რომელიც წინასაარჩევნო პროგრამის ძირითად საკითხებს წარმოადგენდა: ქაოტური განაშენიანების რეგულირება, სატრანსპორტო სისტემის მოწესრიგება, გარემოსდაცვითი პოლიტიკა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება.